

**საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად
საჯარო ინფორმაციის გაცემის თაობაზე ზუგდიდის რაიონული
სასამართლოს 2020 წლის ანგარიში**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-III თავის მოთხოვნათა შესასრულებლად, ამ კოდექსის 36-ე მუხლის თანახმად, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დადგენილია რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი საჯარო მოსამსახურეები - სასამართლოს კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღების უფროსი, მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ნინო ჩემინავა, კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების წამყვანი სპეციალისტი, მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - თინათინ შავლაყაძე და საკადრო და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი - სასამართლოს მენეჯერი, პირველი რანგის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ლანა ბერიშვილი.

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში და მის შემადგელობაში შემავალ მაგისტრატ სასამართლოებში (მესტია, ჩხოროწყუ, წალენჯიხა) 2020 წლის 01 იანვრიდან დღემდე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულია -19 განცხადება:

1. „EMC -ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრიდან” - 2;
2. „DEPA CONSULTING” -დან -1
3. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან” - 1
4. „ინფორმაციის თავისუფლების ინსტიტუტიდან”-2
5. „კავშირი სფარიდან”-1
6. მოქალაქეებისგან -12

აღნიშნული განცხადებებიდან დაკმაყოფილდა - 10; ნაწილობრივ დაკმაყოფილდა -4 ; არ დაკმაყოფილდა - 5.

დაკმაყოფილდა მოქალაქეების 5 განცხადება:

1. 2019 წელს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-7 თავით განხილულ საქმეებზე მიღებული დადგენილების ასლების გადაცემა;
2. ინფორმაცია სასამართლოში დასაქმებული თარჯიმების რაოდენობის, საკვალიფიკაციო მოთხოვნების, თარგმანის ფორმის და იმ ენების შესახებ, რომელზეც ხორციელდება თარგმანი.
3. სასამართლოს მიერ 2015 წლიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით დელიქტით მიიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ განხილული საქმეების სტატისტიკური მონაცემები შედეგების მითითებით.
4. 2015 წლიდან 2020 წლის მარტამდე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით მოსამართლეების მიერ აცილების და თვითაცილების შესახებ მიღებული განჩინების ასლების გადაცემა;

5. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიერ მიღებული ვერდიქტების რაოდენობა და ასლების გადაცემა; ასევე 2019 წლიდან 2020 წლის აგვისტოს ჩათვლით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე პრიმა მუხლით მიღებული დადგენილების ასლების გადაცემა, რომლებიც შეეხებოდა სექსუალურ შევიწროებას;
6. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება 2016 წლის იანვრიდან 2019 წლის დეკემბრის ჩათვლით სსკ-ის 150¹ მუხლით გამოტანილი განაჩენია ასლების გადაცემის თაობაზე;
7. „კავშირი საფარიდან“ შემოსული განცხადება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე პრიმა მუხლით (სექსუალური შევიწროება) 2019 წლიდან 2020 წლის ნოემბრის ჩათვლით მიღებული დადგენილების ასლების გადაცემის და სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდების შესახებ;
8. „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი IDFI“-დან შემოსული 2 განცხადება:

1)საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირთა მონაცემების გადაცემის თაობაზე;

2)საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42¹⁰ მუხლით გამოტანილი შუალედური და საბოლოო აქტები; 2020 წელს სსკ-ის 247-ე, 248-ე და 248¹ მუხლებით გამოტანილი განაჩენის ასლები;ასევე „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის დადგენილების დარღვევის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ასლების გადაცემა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე და 37-ე მუხლების შესაბამისად ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 4 განცხადება:

1.„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC“ -დან შემოსული განცხადება, სადაც მოთხოვნილია შემდეგი ინფორმაცია:

ა) სასამართლოს თავმჯდომარის მიერ დადგენილი მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკის ასლები უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში, მასში ცვლილებების შეტანის პერიოდულობის და საფუძვლის მითითებით;

ბ) საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის ამოქმედებიდან დღემდე, თითოეულ მოსამართლეზე განაწილებული საქმეების რაოდენობა, მოსამართლეთა შვებულებების, მათ შორის დეკრეტული შვებულების მითითებით;

გ) ელექტრონული პროგრამის შეფერხებისას საქმეთა რიგითობით განაწილების წესის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტი, 2017 წლის 31 დეკემბრიდან მასში ცვლილებების შეტანის პერიოდულობის მითითებით;

დ) იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის პირველი მაისის გადაწყვეტილების 1/56 მე-4 მუხლის მე-15 პუნქტის თანახმად საქმის სხვა მოსამართლისთვის გადაცემის შემთხვევები, შესაბამისი საფუძვლისა და თარიღის მითითებით. ასევე იმ პიროვნების მითითება თუ ვინ აფასებს მითითებულ მუხლში არსებული გარემოების არსებობას და ვინ იღებს გადაწყვეტილებას საქმის სხვა მოსამართლისთვის დროებით გადაცემის თაობაზე;

2. „DEPA CONSULTING“-ის განცხადება 2019 წელს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე პრიმა მუხლით (სექსუალური შევიწროება) მიღებული დადგენილების ასლის გადაცემა; საქართველოს სსკ-ის 109-ე, 115-ე, 117-ე, 126-ე, 118-ე, 142-ე, 143-ე, 155-ე, 156-ე, 129-ე და 258-ე მუხლებით გამოტანილი განაჩენის ასლების გადაცემა.

ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ასევე მოქალაქეების ორი განცხადება:

3.2010 წლიდან 2020 წლამდე საქართველოს სსკ-ის 111-ე და 112-ე მუხლებით გამოტანილი განაჩენის ასლის გადაცემის თაობაზე;

4.2015 წლიდან 2020 წლის 01 ივლისამდე საქართველოს სსკ-ის 137-ე, 138-ე და 139-ე მუხლებით გამოტანილი განაჩენის ასლის გადაცემა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე და 41-ე მუხლების შესაბამისად არ დაკმაყოფილდა 5 მოთხოვნა:

1.„EMC -ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია: სასამართლოში თარჯიმნის მონაწილეობით განხილული საქმეების, თარჯიმნის მომსახურებით მოსარგებლე პირების, მათი ეროვნების, სტატუსის, ადვოკატის მომსახურებით მოსარგებლე და საადვოკატო საქმიანობის ტიპის და მხარეების საპროცესო სტატუსის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია.

2. მოქალაქის 2 განცხადება „გარემოსდაცვით უფლებასთან დაკავშირებით“ მიღებული გადაწყვეტილების ასლების გადაცემის შესახებ;

3. მოქალაქის განცხადება 2019 წლის 01 ივნისიდან 2020 წლის ივნისამდე კომპიუტერული სისტემიდან ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ;

4. მოქალაქის განცხადება 2018 წლიდან 2020 წლის აპრილამდე აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული გირაოს პატიმრობით შეცვლის შესახებ მონაცემები საფუძვლის მითითებით.

ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსულ ყველა განცხადებებზე პასუხი გაცემულია კანონით დადგენილ ვადაში და ინფორმაციის დამუშავების და გადაცემის დროს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან გადაცდომას ადგილი არ ჰქონია. ამასთან, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე საჩივარი და სარჩელი არ შემოსულა.

ლანა ბერიშვილი

**საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი
(სასამართლოს მენეჯერი -პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელი)**